



პროფესორი, დოქტორი ნინო აბრაღავა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, უცხოური ენების აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უცხოური ენების ცენტრის დირექტორი

ნინო აბრაღავა, პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი (სპეციალობით: უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია), არის მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის და სახელმძღვანელოს ავტორი, ასევე მისი რედაქტორობითა და ავტორობით გამოიცა არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი თუ კრებული. ის არის ასევე მრავალი საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორი.

ნინო აბრაღავა ხშირად ღებულობს მონაწილეობას საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში. გერმანიაში, საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია, მათ შორის საქართველოში განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებისა და ენობრივი პოლიტიკის შესახებ. მიღებული აქვს 20-მდე საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო გრანტი.

მას აქვს როგორც სამეცნიერო და პედაგოგიური, ასევე განათლების სფეროს მართვაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ის არის არაერთი სამეცნიერო კვლევის ექსპერტი, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, მათ შორის გერმანიაში.

10 წლის განმავლობაში სწავლობდა და მუშაობდა გერმანიასა და ავსტრიაში. ზაარბრუკენის უნივერსიტეტში დაიცვა დიპლომი, წლების მანძილზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობას აგრძელებდა ესენის და მიუნსტერის უნივერსიტეტებში.

გავლილი მაქვს მრავალი მეთოდური და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საერთაშორისო კურსები როგორც გერმანიაში ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული 100-მდე საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციასა და ტრენინგში, რომელიც ჩატარებული აქვს, როგორც პედაგოგებისთვის ასევე საჯარო მოხელეებისთვის.

პროფესორი ნინო აბრალავა ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო თუ გაცვლით პროექტს და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან, გოეთეს ინსტიტუტთან, DAAD-გერმანიის აკადემიურ გაცვლით სამსახურთან, ევრო კომისიასთან, არის გერანიის, მიუნსტერის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ექსპერტი, საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი კომისიის წევრი და დარგობრივი ექსპერტი. წლების მანძილზე რესპუბლიკური და საერთაშორისო ოლიმპიადებისა და კონკურსის ორგანიზატორი, რომლის შედეგად არაერთ ქართველ ახალგაზრდას დაუფინანსდა სწავლა გერმანიაში.

პროფესორი ნინო აბრალავა ფართო საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა, ის არის ქართულ-გერმანულ მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის IDT-ს (ასოციაციის წევრი, წლების მანძილზე ვიცე პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, გამგეობის წევრი), გერმანიის სახელმწიფო აკადემიური გაცვლითი სამსახურის DAAD -ეს საპატიო ელჩი, ქართულ-გერმანული საზოგადოების, ევროპული ენების ინსტიტუტისა და საერთაშორისო გაერთიანება ევროპული სკოლა თბილისი დამფუძნებელი და წევრი, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი.

წლების მანძილზე იყო საქართველოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი, უცხოური ენების ცენტრის დირექტორი, გერმანული ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მუშაობდა ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში.

ამჟამად ნინო აბრალავა არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, უცხოური ენების აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უცხოური ენების ცენტრის დირექტორი.